დამტკიცებულია

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა„ბრიტანიკა“
დირექტორის მიერ
ბრძანება№

სკოლის დირექტორი /თამარ მაისურაძე/

Tamar Maisuradze 01023003009
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2026.02.07 14:07:23

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები

-2024-

1. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა

პირველკლასელთა სკოლაში მიღება

- სკოლაში პირველ კლასში ბავშვები ჩაირიცხებიან ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული ასაკიდან.
- სკოლა პირველკლასელებისთვის ატარებს ღია კარის დღეს, რომელესაც ესწრება სკოლის დირექტორი, სკოლის ფსიქოლოგი და სკოლის ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი.
- ღიას კარის დღეზე ხდება გასაუბრება მოსწავლეებთა და მათ მშობლებთან.
- ღია კარის დღეზე ხდება სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და გასაუბრება მოსწავლეებთან, როლის მიზანია მოსწავლეთა სასკოლო მზაობის დადგენა შესაბამისი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.
- გასაუბრებაზე გამოსაყენებელი (ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით) აქტივობების შემუშავებას უზრუნველყოფს სკოლის ფსიქოლოგი, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
- პირველ კლასში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
- მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას სკოლაში ჩარიცხვაზე, თუ შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, რომელიც განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ (მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა-250 მოსწავლეა). ასეთ შემთხვევაში ჩარიცხვა მოხდება განცხადების რიგითობის მიხედვით.
- კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 15 მოსწავლით.
- თუ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლი უთითებს მოსწავლის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის შეფასების მოთხოვნის მიზნით ავსებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მომართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- სკოლა, მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ გამოცემულ შესაბამის აქტს. სასწავლო წლის დაწყებამდე მოსწავლეთა მონაცემებს ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
- სკოლაში მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვისას იხსნება მოსწავლის პირადი საქმე.
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელთან (კანონიერ წარმომადგენელთან) ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

2. მობილობა

- შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ,,ბრიტანიკაში“ მობილობა ხორციელდება ელექტრონულად, მართვის საინფორმაციო მოდულის მეშვეობით.

- მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობისთვის საჭიროა მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, დირექტორის სახელზე წარმოადგინოს განცხადება, რის შემდეგაც სკოლა ავსებს მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობის მოთხოვნის ელექტრონულ ფორმას და თან ურთავს მშობლის განცხადებას.
- მობილობის ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკა" უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების განთავსებას მართვის საინფორმაციო სისტემაში.
- ქართულ-ინგლისურ სკოლა ,, ბრიტანიკაში" მობილობის მსურველ მოსწავლეს ჩარიცხვამდე უტარდება გასაუბრება ან სადიაგნოსტიკო ტესტირება (V-XIIკლ) ინგლისურ ენაში, რომლის მიზანია სკოლის მიერ შემუშავებული ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამის დასაძლევად მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრა.
- მობილობით ჩარიცხული მოსწავლის პირადი საქმეს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკა" მიიღებს ფოსტის საშუალებით.
- თუ მოსწავლე გადადის ქართულ-ინგლისური სკოლა ,, ბრიტანიკიდან" , სკოლა ახდენს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობაზე შემოსული ელექტრონული მოთხოვნის დადასტურებას ან უარყოფას.
- იმ შემთხვევაში თუ, სკოლისთვის ცნობილი გახდება, რომ მოსწავლის მობილობასთან დაკავშირებით, მშობლებსა ან/და კანონიერ წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა და აქედან რომელიმე მხარე წინააღმდეგია აღნიშნულის, ამ შემთხვევაში სკოლა არ ადასტურებს მობილობის ელექტრონულ მოთხოვნას, იმ დრომდე სანამ მშობლებს შორის არ დასრულდება სასამართლო დავა და/ან იმ დრომდე, სანამ არ მიიღებს ორივე მშობლის წერილობით თანხმობას. აღნიშნულის შესახებ პასუხს აცნობებს ორივე დაინტერესებულ მხარეს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკს.
- ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ამორიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებას/ატვირთვას.
- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია მოსწავლის მიმღებ სკოლას გადაეცემა(ფოსტის მეშვეობით) შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნებს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური. (თუ მობილობა განხორციელდება სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში ანუ 15 ოქტომბრამდე).
- სსსმ მოსწავლის მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.
- თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მას უფლება აქვს, ექსტერნატის

გარეშე ჩაირიცხოს სკოლაში ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში.

- მოსწავლის პარალელურ კლასში გადასვლა ხდება, მშობლის განცხადების საფუძველზე დირექტორის ბრძანებით.
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე პირის ქართულ-ინგლისურ სკოლა ,,ბრიტანიკაში" ჩარიცხვისთვის საჭიროა, მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა სკოლას მიმართოს განცხადებით და წარმოადგინოს უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- სკოლა განუმარტავს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომ მათ უნდა მიმართონ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც შეისწავლის მოსწავლის საგანმანათლებლო ისტორიას და დაადგენს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემასთან შესაბამისობას.
- პროცესის დასრულებამდე, განცხადების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს, ხოლო აღიარების შემდეგ იწერება განცხადება ჩარიცხვის თაობაზე.
- აღიარების საფუძველზე განისაზღვრება, თუ რომელ კლასში ჩაირიცხება მოსწავლე და რა პირობებით.
- უცხოურ ენაზე წარდგენილი დოკუმენტების შემთხვევაში, საჭიროა მოსწავლის დოკუმენტაციას თან დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

- **სკოლაში მობილობა დაუშვებელია:**
  - **კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე.**
  - **სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში.**
  - **მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.**

3. მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა

მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდება თუ:

- მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ გამოცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას;
- მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;
- სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;
- თუ არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი /სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა იკვლევს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზებს და მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.
- თუ მოსწავლე არ ცხადდება სკოლაში 45 სასწავლო დღის განმავლობაში, სტატუსის შეჩერებამდე სკოლა ახორციელებს შემდეგ პრევენციული ღონისძიებებს:
  * ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი ამზადებს წერილობითი ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად

გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც წარუდგენს სკოლის დირექტორს.

- ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ დამრიგებელი ახორციელებს ვიზიტს ოჯახში. თუ 45 სასწავლო დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში მას უჩერდება სტატუსი. თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და მიმართავს შესაბამის სამსახურებს
- მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.
- მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.
- სკოლა უფლებამოსილია, მოსწავლეს ფინანსური დავალიანების შემთხვევაში შეუწყვეტოს მოსწავლის სტატუსი.
- სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეს დაამთავრებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი და უზრუნველყოს მოსწავლის შეუფერხებელი მობილობა მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში,
- სკოლა, ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით აცნობებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.
- სკოლა, მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, წერილობით აცნობებს სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
- სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის პირადი საქმის და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის გადაცემას მოსწავლის მიმღებ სკოლის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

სტატუსის აღდგენა

- მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით, მას შემდეგ რაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს სკოლას.
- მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა.
- იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.
- მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

4. საფეხურის დაძლევა

- დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად,

დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

- საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
- საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.
- დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.
- ექსტერნატის ფორმით, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სსსმ მოსწავლისთვის საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
- მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:

  ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

  ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.